საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13
2024 წლის 16 მაისი

ქ. საგარეჯო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების დანართით დამტკიცებული მარშრუტების შესაბამისად, ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას ახორციელებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „საგარეჯო“ ს/ნ 438112276.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საგარეჯოს მუნიციპაალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი გილაშვილი**

<u>დანართი</u>

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები

მარშრუტის №	ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები	მარშრუტის უკუმიმართულება	ავტობუსების ყოველდღიური რაოდენობა	ინტერვალი
№1	ქ. საგარეჯო – სოფ. იორმუღანლო	სოფ. იორმუღანლო – ქ. საგარეჯო	1	დღეში 2-ჯერ
№2	ქ. საგარეჯო – სოფ. პატარა ჩაილური – სოფ. კაკაბეთი – სოფ. ვერხვიანი – სოფ. ყანდაურა – სოფ. მზისგული – სოფ. შიბლიანი	სოფ. შიბლიანი – სოფ. მზისგული – სოფ. ყანდაურა – სოფ. ვერხვიანი – სოფ. კაკაბეთი – სოფ. პატარა ჩაილური – ქ. საგარეჯო	1	დღეში 2-ჯერ
№3	სოფ. გომბორი – სოფ. კოჭბაანი – სოფ. ხაშმი – სოფ. პატარძეული – ქ. საგარეჯო	ქ. საგარეჯო – სოფ. პატარძეული – სოფ. ხაშმი – სოფ. კოჭბაანი – სოფ. გომბორი	1	დღეში 2-ჯერ

№4	ქ. საგარეჯო (ჯაფარიძის ქუჩა – დავით აღმაშენებლის ქუჩა – ერეკლე II-ის ქუჩა – რუსთაველის ქუჩა – ქვემო სამგორის დასახლება)	ქ. საგარეჯო (ქვემო სამგორის დასახლება – რუსთაველის ქუჩა – ერეკლე II – ის ქუჩა – დავით აღმაშენებლის ქუჩა – ჯაფარიძის ქუჩა)	1	60 წთ.